სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 07 ივლისი, 2022 წელი

პრეამბულა

ერთი მხრივ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, მაია ჭიჭილეიშვილის მიერ და მეორე მხრივ, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი დირექტორის მ/შ, ლეილა დუმბაძის მიერ, ორივე ერთად „მხარეებად" წოდებული, საქართველოში უმაღლესი განათლებისა და ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების განხორციელების მიზნით, თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- საშემსრულებლო და თეორიული მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს პროფესორები, მასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-შემოქმედებით პროექტებში ჩართული სტუდენტები და მოსწავლეები გამოიყენებენ ურთიერთშეთანხმებით.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით პროექტებს.
1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივი პროექტების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა).
1.5. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, გამოფენებს, საკონცერტო წარმოდგენებსა და სხვა პროექტებს.
1.6. სკოლა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლასა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას.
1.7. სკოლა თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების პროცესში.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე მემორანდუმში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

მ. ჭიჭილეიშვილი

საქართველო, ბათუმი
ვაჟა-ფშაველას ქ. N 32
ტელ: +995 593 362361
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ფერიის საჯარო სკოლის
დირექტორი

ლ. დუმბაძე

საქართველო, ხელვაჩაური
სოფელ ფერიის საჯარო სკოლა
ტელ: +995 577304240
ელ.ფოსტა: feriis.skola@gmail.com